ხელშეკრულება № 67
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 28 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემური ჩუბინიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ბინული 2008" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ბეჟანი ასათიანის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

CVP კლასიფიკატორის კოდი 44100000.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია პოლიეთილენის მილების და მილის აქსესუარების მოწოდება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად (შემდგომში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1307,40 (ერთიათასსამასშვიდი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. ასევე შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტის ხელისმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემური ჩუბინიძე

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქN2.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 აპრილამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსიალია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,02%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
8.4. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წიინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთნხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქათველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 28 მარტიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 მაისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი"	შ.პ.ს. „ბინული 2008"
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3	ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ N2
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259.	საიდენთიფიკაციო კოდი 212916718
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი" MIBGGE22
	ა.ა. GE70BGPC0213600100010004

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხელშეკრულების დანართი

	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	პლასტმასის მილი 32*10	1000 მეტრი	1,25	1250
2	მილის სამკაპი 32*20*32	12 ცალი	3,7	44,4
3	მუფთა 32*32	5 ცალი	2,6	13
				1307,4

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების

კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ტყიბული

28 მარტი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ პოლიეთილენის მილების და მილის აქსესუარების **მოწოდების** მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი);

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის

შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

განყოფილების მე-2 რანგის მეორადი სტრუქტურული

ერთეულის უფროსი: ჯონდო ქასრაშვილი